საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

5 დეკემბერი, 2014 წელი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ 36

სხდომის დაწყების დრო 10:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, ცისმარი ონიანი, ირაკლი ყანდაშვილი, ირმა ჭკადუა, მამუკა ნოზაძე, როინ მიგრიაული, დავით ლანჩავა, ზურაბ როსტიაშვილი**

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ საკითხი;
2. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21[2]მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა: **ნანა გაგუა, ლევანი ბოჭორიშვილი, სოფიკო ზაალიშვილი, იაკობ დოლიძე, ნოდარ გიუნაშვილი, ქეთევან ყიფიანი, თამარ ღონღაძე, ნესტან ჯელაძე, გვანცა დუდუჩავა, მალხაზ ბუღდიაშვილი, თეონა ხმალაძე, თამარ ზურაბაშვილი, თამთა თოფჩიშვილი, ქეთევან მათითაშვილი, ინგა კაშია (წევრობის შეჩერება 2015 წლიდან), გიორგი ქათამაძე, თამარ გაბისონია, ირაკლი ანანიძე, დავით მდინარაძე, ნერსეს კალანტაროვი, თამარ რიჟამაძე, ირაკლი ტოროტაძე, ბელა ბაშარაძე, ეკატერინე გოგორიშვილი, თინათინ ნეფარიძე, ლევან ტატიშვილი, გაგა აფციაური, თამარ კობაიძე, ნინო გადილია, ალექსანდრე წულაძე, დავით ჯაბიშვილი, ბესარიონ ქარცივაძე, სიმონ თელიაშვილი, ზურაბ მიდოდაშვილი,**

გიორგი მაზმიშვილი, ქეთევან ჯორბენაძე, მანანა გიორგაძე, ნიკოლოზ ბრეგვაძე, მერაბ ბერიძე, ჯემალ ნადირიანი, ირინე ჩოჩია, ზაზა მაღრაძე, თემურ ძაგნიძე, მარიამ მამალაძე, მიხეილ მარგველაშვილი, ლელა გოგოლაძე, გიორგი გოცირიძე, პაპუნა კერესელიძე, ლეილა მჭედლიშვილი, მადონა გორგოშაძე, ცირა შარაშიძე, გიორგი გორაძე; <u>2014 წლის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატები:</u> ზურაბ დონაძე, ნიკოლოზ ჩიქვანია, ანა რამიშვილი, ირაკლი ჯიჯავაძე, გიორგი ვეკუა, ვერიკო კვირკველია, ევტიხი ბენდელიანი, შოთა ყიფიანი, კახაბერ ჯანუყაშვილი, თამარ ძავაშვილი, დემურ სურმავა, ელენე კვინტრაძე, თეიმურაზ ქათამაძე, ნატალია ძიძიგური, ნუგზარ ახვლედიანი, თამაზ დონჯაშვილი, ნუცა შონია, ვარლამ ხათრიძე, გვიდონ გადელია, დავით ჩიტაშვილი, ნუგზარ ბადაშვილი, დალილა გოგოძე

3. ასოციაციის 2015 წლის ბიუჯეტის განხილვა/დამტკიცების შესახებ საკითხი;
4. საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცება;
5. გიგ სისტემის წესში ცვლილებების დამტკიცება;
6. ჟურნალის „ადვოკატი“ სარედაქციო კოლეგიის დამტკიცება;
7. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის განმარტების შესახებ (მომხსენებელი აღმასრულებელი საბჭოს წევრის როინ მიგრიაული);
8. ირაკლი ყანდაშვილის მიერ სასწავლო ცენტრის ანგრიშის წარდგენა;
9. ადვოკატების განცხადებების განხილვა 2014 წლის საწევრო დავალიანების გაუქმების მოთხოვნით **(ზაქარია თვალიაშვილი, ლევან ჯოხაძე, კახაბერ ქარდავა, თენგიზ ნარმანია, ვარლამ ბალხამიშვილი, სულხან ხმალაძე, მარიამ სვანიძე, იზოლდა რაზმაძე, თამარ ტიგინაშვილი, თემურ სიმონიშვილი, გივი ექვთიმიშვილი, გიორგი გვაჯაია, მანანა ჭახრაკია, კახაბერ მამულაძე, მანანა რეხვიაშვილი, თამარ კაკაბაძე, ივანე გორგაძე, ცირა ჯავახიშვილი, ლია ცინდელიანი, ინგა ბერიკაშვილი);**

10. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა (სისხლის სამართალი – ლევან ხარანაული; (ირაკლი დვალიძის ნაცვლად); კონსტიტუციური სამართალი – დავით წერეთელი; (გიორგი კვერენჩხილაძის ნაცვლად).

11. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ **21³** მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ფარული კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება

ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე საწევროგადაუხდელ პირთა მიმართ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ.

12. სისხლის სამართლის კომიტეტის წევრების დამტკიცების საკითხი (ანი მორგოშია და ბელა ბაშარაძე);

13. მ/წ 18,19 დეკემბერს დაგეგმილი კონფერენციისთვის CCBE-ის პრტეზიდენტის საქართველოში ვიზიტისთვის ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან 3 000 ლარის გამოყოფის შესახებ;

14. თელავის ოფისის შესაძენად ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან 70 000 ლარის გამოყოფის შესახებ;

15. „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილების შეტანა წევრების დამატების თვალსაზრისით;

16. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ახალი იურიდიული გაერთიანების შექმნის თაობაზე;

17. სხვადსხვა

პირველი საკითხი:

წევრებმა იმსჯელეს გასაწევრიანებელ პირთა განცხადებების შესახებ: **მარიანა გახოკიძე (შეჩერება)- დავით მოლოდინი (შეჩერება), ქეთევან ზაქარეიშვილი (შეჩერება), თამარ გიგინეიშვილი(შეჩერება), იოსებ თათარაშვილი(შეჩერება), სოფია გამჯაშვილი(შეჩერება), გიორგი დოლიძე (შეჩერება), არჩილ გაბათაშვილი (შეჩერება),ნათია ჯალიაშვილი (შეჩერება), ნელი ღვინეფაძე (შეჩერება), თამარ შვანგირაძე (შეჩერება), თენგიზ ბოლქვაძე (შეჩერება), გვანცა ლომიძე (შეჩერება), თამუნა ჩალაძე (შეჩერება), დავით წურწუმია, ნინო პაპაშვილი, თამარ ფურცელაძე, თამარ მურადაშვილი, მარიამ კობაური, ლაშა მჭდლიძე, თამარ გვალია, კობა ქორიძე, ნათია ქავთარაძე, ირაკლი ჯაფარიძე, ნათია გურული, ანა ნინიაშვილი, მარიამ სამხარაძე, ანა ცეკვაშვილი, დავით აკობიძე, ლიკა თოფურია, თამარ იაკობიძე, თამარ სიხარულიძე,**

ნონა შუბითიძე, ციცინო კულჯანიშვილი-გოგბერაშვილი, ნინო განჯელაშვილი, ეკატერინე კენკებაშვილი, ნინო ჩხაიძე, ეკატერინე გვენცაძე, ქეთევან ანდღულაძე, ვლადიმერ გაფრინდაშვილი, ქეთევან ნაცვლიშვილი, მარიამ თაბაგარი, თეა ხაჩიძე, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ზვიადი ბატიაშივლი, თათია კერესელიძე, მარიამ ძიძიგური, გოჩა გოგიშვილი, თამარ ანჯაფარიძე, ბექა ჭინჭარაული და გაეცნენ ხელახლა გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: ნინო დემეტრაძე, მიშა ბლიაძე, ელენე გრემელაშვილი, ნიკოლოზ ნებიერიძე

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ყველა წარმოდგენილი განცხადება აკმაყოფილებს საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, წევრებმა ერთხმად მიიღეს

გადაწყვეტილება: საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები გაწევრიანების შესახებ: მარიანა გახოკიძე (შეჩერება), დავით მოლოდინი (შეჩერება), ქეთევან ზაქარეიშვილი (შეჩერება), თამარ გიგინეიშვილი (შეჩერება), იოსებ თათარაშვილი(შეჩერება), სოფია გამჯაშვილი(შეჩერება), გიორგი დოლიძე (შეჩერება), არჩილ გაბათაშვილი (შეჩერება),ნათია ჯალიაშვილი (შეჩერება), ნელი ღვინეფაძე (შეჩერება), თამარ შვანგირაძე (შეჩერება), თენგიზ ბოლქვაძე (შეჩერება), გვანცა ლომიძე (შეჩერება), თამუნა ჩალაძე (შეჩერება), დავით წურწუმია, ნინო პაპაშვილი, თამარ ფურცელაძე, თამარ მურადაშვილი, მარიამ კობაური, ლაშა მჭდლიძე, თამარ გვალია, კობა ქორიძე, ნათია ქავთარაძე, ირაკლი ჯაფარიძე, ნათია გურული, ანა ნინიაშვილი, მარიამ სამხარაძე, ანა ცეკვაშვილი, დავით აკობიძე, ლიკა თოფურია, თამარ იაკობიძე, თამარ სიხარულიძე, ნონა შუბითიძე, ციცინო კულჯანიშვილი-გოგბერაშვილი, ნინო განჯელაშვილი, ეკატერინე კენკებაშვილი, ნინო ჩხაიძე, ეკატერინე გვენცაძე, ქეთევან ანდღულაძე, ვლადიმერ გაფრინდაშვილი, ქეთევან ნაცვლიშვილი, მარიამ თაბაგარი, თეა ხაჩიძე, კახაბერ ჭიაბრიშვილი, ზვიადი ბატიაშივლი, თათია კერესელიძე, მარიამ ძიძიგური, გოჩა გოგიშვილი, თამარ ანჯაფარიძე, ბექა ჭინჭარაული; დაკმაყოფილებულ იქნას ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები: ნინო დემეტრაძე, მიშა ბლიაძე, ელენე გრემელაშვილი, ნიკოლოზ ნებიერიძე

წევრები გაეცნენ:

ა) მარიანა გახოკიძის, დავით მოლოდინის, ქეთევან ზაქარეიშვილის, თამარ გიგინეიშვილის, იოსებ თათარაშვილის,სოფია გამჯაშვილის, გიორგი დოლიძის, არჩილ გაბათაშვილის, ნელი ღვინეფაძის, თამარ შვანგირაძის, თენგიზ ბოლქვაძის, გვანცა

ლომიძის, თამუნა ჩალაძის განცხადებებს გაწევრიანების და წევრობის შეჩერების შესახებ. მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება</u>: დაკმაყოფილებულ იქნას მარიანა გახოკიძის, დავით მოლოდინის, ქეთევან ზაქარეიშვილის, თამარ გიგინეიშვილის, იოსებ თათარაშვილის,სოფია გამჯაშვილის, გიორგი დოლიძის, არჩილ გაბათაშვილის, ნათია ჯალიაშვილის, ნელი ღვინეფაძის, თამარ შვანგირაძის, თენგიზ ბოლქვაძის, გვანცა ლომიძის, თამუნა ჩალაძის განცხადებები გაწევრიანების შესახებ და ამავე კანონის 21²მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, მათ გაწევრიანებისთანავე შეუჩერდეთ წევრობა.

ბ) **მაია მიქაძის** განცხადებას, რომლის თანახმად, იგი აღწერს, რომ აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა, ჰყავს მცირეწლოვანი შვილები და ითხოვს მის მიმართ საწევრო დავალიანების გაუქმებას და ხელახლა გაწევრიანებას. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მაია მიქაძეს წევრობა შეუწყდა საწევროს გადაუხდელობის გამო 2010 წელს და დავალიანება შეადგენს 200 ლარს. მას წარმოდგენილი აქვს საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, მე-10 მუხლით დადგენილი დოკუმენტები გაწევრიანებისთვის. წევრები გაეცნენ განცხადებას და განაცხადეს, რომ განცხადებაში მითითებული გარემოება შესაძლებელია ჩაითვალოს საპატიოდ და მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიიღეს

<u>გადაწყვეტილება:</u> გაუქმდეს მაია მიქაძის მიმართ არსებული 2010 წლის საწევრო დავალიანება და იგი ხელახლა იქნას გაწევრიანებული ასოციაციაში.

გ) ირაკლი გვარამაძის, მიხეილ ჯახუას და **ტრისტან დოღოზაშვილის** მიერ დამატებით წარმოდგენილ ცნობებს შრომითი გამოცდილების შესახებ, რომელთა წარმოდგენა მათ დაევალათ გასულ აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. წევრები გაეცნენ აღნიშნულ დოკუმენტებს, სადაც განმარტებული იყო აღნიშნული პირების მიერ დაკავებული თანამდებობებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობები. წევრების მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი ცნობები და განსხვავებული მოსაზრება არავის არ გამოუთქვამს. შესაბამისად, ერთხმად იქნა მიღებული

<u>გადაწყვეტილება:</u> საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას ირაკლი გვარამაძის, მიხეილ ჯახუას და **ტრისტან დოღოზაშვილის განცხადებები გაწევრიანების შესახებ.**

დ) **რუსუდან ყველაშვილის** განცხადებას გაწევრიანების შესახებ. თავმჯდომარემ წევრებს გააცნო განცხადების ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობა შრომითი გამოცდილების შესახებ, რომლის თანახმად, რ. ყველაშვილი 2010 წლის 4 იანვრიდან

2014 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პირთა რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგისტრაციის სამსახურის პირველადი რეგისტრაციის განყოფილებაში რეგისტრატორის თანამდებობაზე. წევრებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული ცნობით არ დასტურდება, რომ რ.ყველაშვილს აქვს იურისტის სტაჟი, რაც დადგენილია საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, მე-10 მუხლის, პირველი მუხლის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად (პირს, რომელიც ასოციაციაში წევრიანდება უნდა ჰქონდეს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი). შესაბამისად, იგი ვერ აკმაყოფილებს ასოციაციაში გაწევრიანებითვის კანონით დადგენილ მოთხოვნას შრომითი გამოცდილების შესახებ. რუსუდან ყველაშვილის ასოციაციაში გაწევრიანების საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე, კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

<u>გადაწყვეტილება:</u> **არ დაკმაყოფილდეს რუსუდან ყველაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ. განცხადების ავტორს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების შესახებ.**

მე-2 საკითხი:

წევრები გაეცნენ წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: **ნანა გაგუა, ლევანი ბოჭორიშვილი, სოფიკო ზაალიშვილი, იაკობ დოლიძე, ნოდარ გიუნაშვილი, ქეთევან ყიფიანი, თამარ ღონღაძე, ნესტან ჯელაძე, გვანცა დუდუჩავა, მალხაზ ბუღდიაშვილი, თეონა ხმალაძე, თამარ ზურაბაშვილი, თამთა თოფჩიშვილი, ქეთევან მათითაშვილი, ინგა კაშია (წევრობის შეჩერება 2015 წლიდან), გიორგი ქათამაძე, თამარ გაბისონია, ირაკლი ანანიძე, დავით მდინარაძე, ნერსეს კალანტაროვი, თამარ რიჟამაძე, ირაკლი ტოროტაძე, ბელა ბაშარაძე, ეკატერინე გოგორიშვილი, თინათინ ნეფარიძე, ლევან ტატიშვილი, გაგა აფციაური, თამარ კობაიძე, ნინო გადილია, ალექსანდრე წულაძე, დავით ჯაბიშვილი, ბესარიონ ქარცივაძე, სიმონ თელიაშვილი, ზურაბ მიდოდაშვილი, გიორგი მაზმიშვილი, ქეთევან ჯორბენაძე, მანანა გიორგაძე, ნიკოლოზ ბრეგვაძე, მერაბ ბერიძე, ჯემალ ნადირიანი, ირინე ჩოჩია, ზაზა მაღრაძე, თემურ ძაგნიძე, მარიამ მამალაძე, მიხეილ მარგველაშვილი, ლელა გოგოლაძე, გიორგი გოცირიძე, პაპუნა კერესელიძე, ლეილა მჭედლიშვილი, მადონა გორგოშაძე, ცირა შარაშიძე, გიორგი გორაძე;**

<u>გადაწყვეტილება</u>: **საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21[2]მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნანა გაგუას, ლევანი ბოჭორიშვილის, სოფიკო ზაალიშვილის, იაკობ დოლიძის, ნოდარ გიუნაშვილის,**

ქეთევან ყიფიანის, თამარ ღონღაძის, ნესტან ჯელაძის, გვანცა დუდუჩავას, მალხაზ ბუღდიაშვილის, თეონა ხმალაძის, თამარ ზურაბაშვილის, თამთა თოფჩიშვილის, ქეთევან მათითაშვილის, ინგა კაშიას (წევრობის შეჩერება 2015 წლიდან), გიორგი ქათამაძის, თამარ გაბისონიას, ირაკლი ანანიძის, დავით მდინარაძის, ნერსეს კალანტაროვის, თამარ რიჟამაძის, ირაკლი ტოროტაძის, ბელა ბაშარაძის, ეკატერინე გოგორიშვილის, თინათინ ნეფარიძის, ლევან ტატიშვილის, გაგა აფციაურის, თამარ კობაიძის, ნინო გადილიას, ალექსანდრე წულაძის, დავით ჯაბიშვილის, ბესარიონ ქარცივაძის, სიმონ თელიაშვილის, ზურაბ მიდოდაშვილის, გიორგი მაზმიშვილის, ქეთევან ჯორბენაძის, მანანა გიორგაძის, ნიკოლოზ ბრეგვაძის, მერაბ ბერიძის, ჯემალ ნადირიანის, ირინე ჩოჩიას, ზაზა მაღრაძის, თემურ ძაგნიძის, მარიამ მამალაძის, მიხეილ მარგველაშვილის, ლელა გოგოლაძის, გიორგი გოცირიძის, პაპუნა კერესელიძის, ლეილა მჭედლიშვილის, მადონა გორგოშაძის, ცირა შარაშიძის, გიორგი გორაძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ;

წევრები გაეცნენ 2014 წლის საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატების განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ: **ზურაბ დონაძე, ნიკოლოზ ჩიქვანია, ანა რამიშვილი, ირაკლი ჯიჯავაძე, გიორგი ვეკუა, ვერიკო კვირკველია, ევტიხი ბენდელიანი, შოთა ყიფიანი, კახაბერ ჯანუყაშვილი, თამარ ძავაშვილი, დემურ სურმავა, ელენე კვინტრაძე, თეიმურაზ ქათამაძე, ნატალია ძიძიგური, ნუგზარ ახვლედიანი, თამაზ დონჯაშვილი, ნუცა შონია, ვარლამ ხათრიძე, გვიდონ გადელია, დავით ჩიტაშვილი, ნუგზარ ბადაშვილი, დალილა გოგოძე.**

წევრებმა განმარტეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირმა მომართა ასოციაციას წევრობის შეჩერების შესახებ, თუ მას ერიცხება საწევრო დავალიანება, წევრობის შეჩერება არ ხდება დავალიანების გაუქმების საფუძველი. ამავდროულად, აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2012 წლის 30 მაისს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად: „საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21^2 მუხლის პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად მიმდინარე

წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში უფლებამოსილებაშეჩერებულ ადვოკატს, საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“ .

წევრებმა განაცხადეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირები დღეის მდგომარეობით არ სარგებლობენ მოქმედი ადვოკატის სტატუსით, ასოციაციის ფინანსური განყოფილების მონაცემების თანახმად მათ ერიცხებათ 2014 წლის საწევრო დავალიანება, რომლის გადახდის კანონით დადგენილი ბოლო ვადა დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს. ზემოთხსენებული განმცხადებლების მიმართ არ იქნებოდა დაფიქსირებული საწევრო დავალიანება თუ ისინი განცხადებით მიმართავდნენ აღმასრულებელ საბჭოს წევრობის შეჩერების შესახებ 2013 წლის 31 დეკემბრამდე. იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება აღნიშნული დავალიანების გადახდა, საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნტის თანახმად, აღნიშნულ პირებს შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

<u>გადაწყვეტილება:</u> აღნიშნული პირების მიერ (ზურაბ დონაძე, ნიკოლოზ ჩიქვანია, ანა რამიშვილი, ირაკლი ჯიჯავაძე, გიორგი ვეკუა, ვერიკო კვირკველია, ევტიხი ბენდელიანი, შოთა ყიფიანი, კახაბერ ჯანუყაშვილი, თამარ ძავაშვილი, დემურ სურმავა, ელენე კვინტრაძე, თეიმურაზ ქათამაძე, ნატალია ძიძიგური, ნუგზარ ახვლედიანი, თამაზ დონჯაშვილი, ნუცა შონია, ვარლამ ხათრიძე, გვიდონ გადელია, დავით ჩიტაშვილი, ნუგზარ ბადაშვილი, დალილა გოგოძე) საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნტის თანახმად მათ შეუწყდეთ ასოციაციის წევრობა.

მე-3 საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა ასოციაციის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი და აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტი წევრებისთვის დიდი ხანია გადაგზავნილი იყო და მოიცავდა წევრების მხრიდან დაფიქსირებულ ყველა შენიშვნას, შესაბამისად, სხდომაზე წარმოდგენილი იყო ბიუჯეტის პროექტის ბოლო ვერსია და მიმართა საბჭოს 2015 წლის მისი დამტკიცების შესახებ წარმოდგენილი სახით. წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. შესაბამისად, ერთხმად იქნა მიღებული

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილი სახით (დანართი # 1).

მე-4 საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა საკონკურსო კომისიის დებულების დამტკიცების საკითხი. მან განაცხადა, რომ გასულ აღმასრულებელის საბჭოს სხდომაზე აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდო, თუმცა აღმასრულებელი მდივნის მიერ საკონკურსო დებულება დიდი ხანია მომზადებულია და შესაბამისად, ელექტრონული ფორმით ყველა წევრს გაეგზავნა. მან მიმართა წევრებს, თუ თვლიდნენ, რომ კორექტივების შეტანის თვალსაზრისით ამოწურული იყო მსჯელობა, დაემტკიცებინათ აღნიშნული დებულების პროექტი. წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და განაცხადეს, რომ მათ განსხვავებული მოსაზრება არ აქვთ. მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის საკონკურსო დებულება წარმოდგენილი სახით (დანართი #2).

მე-5 საკითხი:

ირაკლი ყანდაშვილმა წევრებს გააცნო განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის წესში შესატანი ცვლილებები და განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებები ატარებდა სტრუქტურულ ხასიათს, რომლის მიხედვითაც გიგ სისტემის წესში სტრუქტურულად მოწესრიგდა პუნქტები და უცვლელი დარჩა შინაარსობრივი მხარე. მან მიმართა წევრებს გიგ სისტემის წესში აღნიშნული ცვლილების დამტკიცების თაობაზე მიეღოთ გადაწყვეტილება. წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ დაფიქსირებულა, შესაბამისად, მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება</u>: დამტკიცდეს გიგ სისტემის წესში ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი #3).

მე-6 საკითხი:

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ჟურნალის „ადვოკატი“ სარედაქციო კოლეგიის ახალი შემადგენლობა: **როინ მიგრიაული (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, ინგა თოდრია, ოთარ გამყრელიძე, ნინო გვენეტაძე, ლელა ნადიბაიძე, პაატა ტურავა, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი, ზურაბ ჭეჭელაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, ნინო ხოფერია, მაკა სალხინაშვილი.**

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, განსხვავებული მოსაზრება არავის გამოუთქვამს. მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცდეს ჟურნალის „ადვოკატი“ სარედაქციო კოლეგიის ახალი შემადგენლობა წარმოდგენილი სახით: როინ მიგრიაული (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, ინგა თოდრია, ოთარ გამყრელიძე, ნინო გვენეტაძე, ლელა ნადიბაიძე, პაატა ტურავა, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ ძლიერიშვილი, ზურაბ ჭეჭელაშვილი, ზაზა ხატიაშვილი, ნინო ხოფერია, მაკა სალხინაშვილი.

მე-7 საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა რ.მიგრიაულის მიერ მომზადებული საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის განმარტება და მიმართა წევრებს აღნიშნული განმარტება ცნობად მიეღოთ, რადგან ის უნდა დაბეჭდილიყო ჟურნალში „ადვოკატი“. ასევე, განმარტა, რომ გასულ აღმასრულებელი საბჭოს სხდომებზე აღნიშნული საკითხის განხილვა ორჯერ გადაიდო, შესაბამისად მათ გაგზავნილი ჰქონდათ განმარტების ელექტრონული ვერსია. წევრებმა განაცხადეს, რომ მათ განსხვავებული მოსაზრება არ გააჩნიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება:</u> ცნობად იქნას მიღებული რ.მიგრიაულის მიერ მომზადებული საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის განმარტება (დანართი# 4);

მერვე საკითხი:

ასოციაციის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ - ირაკლი ყანდაშვილმა წარადგინა სასწავლო ცენტრის 2014 წლის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ. მან განმარტა, რომ წლის ბოლოა და ვალდებულია საბჭოს წინაშე წარადგინოს სასაწავლო ცენტრის წლიური ანგარიში, თუმცა, ვინაიდან, მ/წ 12 ოქტომბერს საერთო კრებაზე წარდგენილი იყო აღნიშნული ანგარიში, იგი დეტალურად ამ საკითხზე აღარ ისაუბრებს და ყურადღებას გაამახვილებს სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგების და დატრენინგებული ადვოკატების რიცხვზე, რომელიც აშკარად შთამბეჭდავია და მიუთითებს იმაზე, რომ სასწავლო ცენტრმა თავისი სამუშაო დადგენილ გეგმაზე გადაჭარბებით შეასრულა, რისთვისაც მადლობას უხდის სასაწავლო ცეტრის დირექტორს და თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის.

წევრებმა მოისმინეს და ცნობად მიიღეს სასწავლო ცენტრის 2014 წლის ანგარიში (დანართი #5).

მეცხრე საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები 2014 წლის საწევრო დავალიანების გაუქმების მოთხოვნით. მან წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი განცხდებების მიხედვით ჰქონდათ მძიმე მატერიალური მდგომარეობა, და გამონაკლისის სახით ითხოვდნენ განცხადებებში მითითებული ფაქტობრივი გარემობების გათვალიწინებას და 2014 წლის საწევრო დავალიანების გაუქმებას მათ მიმართ: **(ზაქარია თვალიაშვილი, ლევან ჯოხაძე, კახაბერ ქარდავა, თენგიზ ნარმანია, ვარლამ ბალხამიშვილი, სულხან ხმალაძე, მარიამ სვანიძე, იზოლდა რაზმაძე, თამარ ტიგინაშვილი, თემურ სიმონიშვილი, გივი ექვთიმიშვილი, გიორგი გვაჯაია, მანანა ჭახრაკია, კახაბერ მამულაძე, მანანა რეხვიაშვილი, თამარ კაკაბაძე, ივანე გორგაძე, ცირა ჯავახიშვილი, ლია ცინდელიანი, ინგა ბერიკაშვილი).**

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს; მსჯელობის შემდეგ, მათ მიერ საპატიოდ იქნა მიჩნეული განცხადებებში მითითებული გარემოებები და მიზანშწონილად ჩათვალეს 2014 წლის საწევრო დავალიანებების გაუქმება ყველა განმცხადებლის მიმართ. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად იქნა მიღებული

<u>გადაწყვეტილება:</u> დაკმაყოფილდეს ზაქარია თვალიაშვილის, ლევან ჯოხაძის, კახაბერ ქარდავას, თენგიზ ნარმანიას, ვარლამ ბალხამიშვილის, სულხან ხმალაძის, მარიამ სვანიძის, იზოლდა რაზმაძის, თამარ ტიგინაშვილის, თემურ სიმონიშვილის, გივი ექვთიმიშვილის, გიორგი გვაჯაიას, მანანა ჭახრაკიას, კახაბერ მამულაძის, მანანა რეხვიაშვილის, თამარ კაკაბაძის, ივანე გორგაძის, ცირა ჯავახიშვილის, ქეთო ნადაშვილის, ლია ცინდელიანის, ინგა ბერიკაშვილის განცხადებები განცხადებები 2014 წლის საწევრო გადახადისგან გათავისუფლების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განცხადებების ავტორებს.

მეათე საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ (სისხლის სამართალი – ლევან ხარანაული (ირაკლი დვალიძის ნაცვლად); კონსტიტუციური სამართალი – დავით წერეთელი (გიორგი კვერენჩხილაძის ნაცვლად). წევრების მიერ მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება</u>: **დამტკიცდეს ლევან ხარანაულის და დავით წერეთლის კანდიდატურები ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების გასაჩივრების კომისიის შემადგენლობაში ირაკლი დვალიძის და გიორგი კვერენჩხილაძის ნაცვლად.**

მე- 11 საკითხი:

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საწევროგადაუხდელ პირთა რაოდენობის შესახებ (308 ადვოკატი არსებული მდგომარეობით). ვინაიდან, „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21 -ე მუხლის, პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბჭო ფარული კენჭისყრით იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატისთვის წევრობის შეწყვეტის შესახებ, თავმჯდომარემ სთხოვა აღმასრულებელის საბჭოს წევრებს, ფარული კენჭისყრის საფუძველზე დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე. აღნიშნულ საკითხს ფარული კენჭისყრის შედეგად მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ყველა წევრმა (9). გადაწყვეტილება საწევროგადაუხდელ პირთა მიმართ წევრობის შეწყვეტის თაობაზე მიღებულ იქნა ერთხმად და დადგინდა, რომ ადმინისტრაციული აქტი გამოქვეყნდება და ძალაში შევა მ/წ 9 დეკემბერს. საწევროდავალიანების მქონე პირებს საწევრო დავალიანების გადახდის ვადა მიეცეთ ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებამდე.

<u>გადაწყვეტილება:</u>

ა) მ/წ 9 დეკემბრიდან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 21^3 მუხლის, 1 პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეუწყდეთ უფლებამოსილება ადვოკატთა ასოციაციის იმ წევრებს, რომლებსაც ერიცხებათ დავალიანება საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო.

ბ) ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება და უფლებამოსილებაშეწყვეტილ ადვოკატთა სია გამოქვეყნდეს გაზეთში „რეზონანსი“ და დაიდოს ასოციაციის ვებ- გვერდზე <u>www.gba.ge</u> . უფლებამოსილებაშეწყვეტილ ადვოკატებს გაეგზავნოთ მოკლე ტექსტური შეტყობინებები აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მათ მიერ ასოციაციის წევრთა ბაზაში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრებზე.

გ)აღმასრულებელი საბჭოს ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში.

მე-12 საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა სისხლის სამართლის კომიტეტში ახალი წევრების დამტკიცების საკითხი. მან განაცხადა, რომ კომიტეტის შემადგენლობა 15 პირით არის განსაზღვრული. მოქმედი კომიტეტი დაკომპლექტებული იყო 14 წევრით; ერთ-ერთმა წევრმა - ბესარიონ ქარცივაძემ შეიჩერა ასოციაციის წევრობა საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, კომიტეტში დარჩა 13 წევრი. სისხლის სამართლის კომიტეტის კოორდინატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღმ. საბჭოს წარედგინა **ბელა ბაშარძის** და **ანი მორგოშიას** კანდიდატურები კომიტეტის შემადგენლობაში დასამტკიცებლად. სისხლის სამართლის კომიტეტის წევრთა შერჩევისას, კანდიდატებთან გასაუბრების შედეგად, გადაწყვეტილი იქნა, რომ სამომავლოდ, კომიტეტის წევრობის ადგილის გათავისუფლების შეთხვევაში, ერთი კანდიდატი - ადვოკატი გაიოზ ჩარკვიანი გათვალისწინებული იქნას რეზერვში.

მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება:</u> დამტკიცებულ იქნას ბელა ბაშარაძის და ანი მორგოშიას კანდიდატურები სისხლის სამართლის კომიტეტის შემადგენლობაში. სამომავლოდ, კომიტეტის წევრობის ადგილის გათავისუფლების შეთხვევაში, ერთი კანდიდატი - ადვოკატი გაიოზ ჩარკვიანი გათვალისწინებული იქნას რეზერვში.

მე-13 საკითხი:

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მ/წ 18-19 დეკემბერს დაგეგმილია კონფერენცია, რომელსაც ესწრება ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტი და ვიზიტის ფარგლებში ასოციაციის წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს. ამ მიზნით, მან განაცხადა, რომ ასოციაციის მხრიდან დელეგაციის სათანადო დონეზე დახვედრის მიზნით, საჭირო იყო ფინანსური მხარდაჭერა და მიმართა წევრებს წინადადებით, ამ მიზნით ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან 3 000 ლარის გამოყოფის შესახებ. წევრები დაეთანხმნენ აღნიშნულ წინადადებას და მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება:</u> ევროპის ადვოკატთა ასოციაციების და სამართლის საზოგადოებების საბჭოს (CCBE) პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით ასოციაციის

მხრიდან დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების მიზნით, ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 3000 ლარი და შევიდეს შესამისი ცვლილება მასში .

მე-14 საკითხი:

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციის განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასოციაციის რეგიონალურ დონეზე განვითარებას. ამ მიზნით, მას აუცილებლად მიაჩნია თელავში საოფისე ფართის შეძენა და მიმართა წევრებს წინადადებით ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან თელავში საოფისე ფართის შესაძენად 70 000 ლარის გამოყოფის შესახებ. წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი ერთსულოვნად ეთანხმებიან თავმჯდომარეს და თვლიან რომ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ასოციაციის რეგიონალური განვითარებაა და მიესალმებიან აღნიშნულ წინადადებას. ცისმარი ონიანმა დააფიქსირა განსხვავებული მოსაზრება და განაცხადა, რომ მისი აზრით პირველ ეტაპზე, უმჯობესია თბილისის ოფისის იერსახე უფრო მოწესრიგდეს და დაიხვეწოს, ვინაიდან, მიაჩნია რომ აღნიშნული ოფისი წარმოადგენს ადვოკატების იმიჯს და ამის შემდეგ იქნას შეძენილი ოფისები რეგიონებში. მსგავსი მოსაზრება დააფიქსირა როინ მიგრიაულმა. მსჯელობის ბოლოს წევრებმა მიიღეს შემდეგი

<u>გადაწყვეტილება:</u> თელავში ადვოკატთა ასოციაციის საოფისე ფართის შეძენის მიზნით ასოციაციის 2014 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნას 70 000 ლარი. შევიდეს შესაბამისი ცვლილება მასში.

მე-15 საკითხი:

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო თავისი წინადადება „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობდა ჯგუფის მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით მის შემადგენლობაში შემდეგი პირების დამატებას: მოქმედი აღმასრულებელი საბჭოს წევრების სრული შემადგენლობა, ეთიკის კომისიის წევრი ია გაბედავა და ამავე კომისიის თავმჯდომარე- ციცინო ცხვედიანი; ადვოკატი ზვიად კორძაძე, რომელიც გასულ პერიოდში იყო ჯგუფის თავმჯდომარე, ადვოკატი მამუკა მდინარაძე, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - ლიანა მასიკაშვილი, ელზა ლეშკაშელი (იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს თავმჯდომარე) და ასოციაციის აპარატიდან: აღმასრულებელი მდივანი ინგა ნებიერიძე და სასწავლო ცენტრის დირექტორი თინა

ქარსელაძე. წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა. შესაბამისად, მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება:</u> შევიდეს ცვლილება „ადვოკატთა შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში და დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით: მოქმედი აღმასრულებელი საბჭოს წევრების სრული შემადგენლობით: 1.ზაზა ხატიაშვილი (კომისიის თავმჯდომარე), 2.გიორგი თევზაძე, 3.ცისმარი ონიანი, 4.ირაკლი ყანდაშვილი,5. ირმა ჭკადუა, 6.მამუკა ნოზაძე, 7.როინ მიგრიაული, 8.დავით ლანჩავა, 9.ზურაბ როსტიაშვილი, 10.დავით ასათიანი, 11.დათუნა მოდებაძე, 12.ბონდო ალასანია;13. ეთიკის კომისიის წევრი ია გაბედავა და14. ამავე კომისიის თავმჯდომარე- ციცინო ცხვედიანი; 15.ადვოკატი მამუკა მდინარაძე, 16.სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე-ლიანა მასიკაშვილი, 17.იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭოს თავმჯდომარე- ელზა ლეშკაშელი, 18.ადვოკატი ზვიად კორძაძე, რომელიც გასულ პერიოდში იყო ჯგუფის წევრი და ასოციაციის აპარატიდან : 19.აღმასრულებელი მდივანი ინგა ნებიერიძე და 20.სასწავლო ცენტრის დირექტორი თინა ქარსელაძე.

მე-16 საკითხი:

საკითხი დააყენა ზაზა ხატიაშვილმა და მან საბჭოს წევრებს გააცნო ახალი პროფესიული გაერთიანების შექმნის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ: ადვოკატების ინიციატივით იქმნება ადვოკატთა, მოსამართლეთა, პროკურორთა და სამეცნიერო წრის წარმომადგენელთა გაერთიანება, რომელიც მოემსახურება ზოგადად ამ პროფესიათა განვითარებას, საერთო სტანდარტების შექმნას, მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას, კოლეგიალური პრინციპების განვიათარებას და სხვა პროფესიულ საჭიროებებს. მან მოიწონა აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის იდეა და სრული მხარდაჭერა გამოხატა მის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

უფრო დაწვრილებით აღნიშნული გაერთიანების შესახებ საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდა დავით ლანჩავამ. მან აღნიშნა, რომ უკვე დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის მიზნით, კერძოდ, “საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ (GLIP) უკვე წლებია აწარმოებს მოლაპარაკებებს მოსამართლეებთან, სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან, რათა მოხდეს იურიდიულ პროფესიათა ერთობლივი განვითარების პერსპექტივების შექმნა და საერთო სტანდარტების შემუშავება. აღნიშნული ერთობის აუცილებლობა უკვე მრავალ ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონორების მიერ ჩატარებულ კონფერენციებშიც არაერთი გამომსვლელის მიერ მრავალჯერ აღინიშნა, რამაც მოამწიფა აღნიშნული გაერთიანების შექმნა. უკვე მიღწეულია თანხმობები კოლეგებს შორის და სულ მალე

საქართველოში მოხდება მოსამართლეთა, ადვოკატთა, პროკურორთა, სამართლის მეცნიერთა და სხვა წარმომადგენელთა პროფესიული გაერთიანების შექმნა, სადაც საჭირო იქნება მმართველ ორგანოებში ადვოკატთა წარმომადგენლების დასახელება. დ.ლანჩავამ შესთავაზა წევრებს საბჭოს ახალ გაერთიანებაში, რომლის პირობითი სახელია „საქართველოს იურისტთა ეროვნული ასოციაცია“, ადვოკატთა კორპუსი წარმოდგენილი იყოს აღმასრულებელი საბჭოს 4 წევრით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარით და 2 სხვა გაერთიანების ადვოკატებით, ვინც, დიდი ხანია კონსტრუქციულად მუშაობს ადვოკატთა ასოციაციასთან.

წევრებმა მოიმისნეს ინფორმაცია და მიღებულ იქნა

<u>გადაწყვეტილება</u>:ცნობად იქნას მიღებული ახალი იურიდიული პროფესიათა გაერთიანების „საქართველოს იურისტთა ეროვნული ასოციაცია“, შექმნის შესახებ ინფორმაცია და ამ ახალ გართიანებაში ადვოკატთა ასოციაციის სახელით რეკომენდაცია გაეწიოთ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს - ზაზა ხატიაშვილს, საბჭოს წევრებს: დავით ასათიანს, როინ მიგრიაულს, დავით ლანჩავას, ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს -ციცინო ცხვედიანს; ადვოკატებს: ვიქტორ ყიფიანს და მამუკა მდინარაძეს, რათა ისინი არჩეულ იყვნენ ახალი გაერთიანების მართვის ორგანოებში.

აღმასრულებელი საბჭოს მომდევნო სხდომა ჩაინიშნა 2015 წლის 15 იანვარს, 10:00 საათზე.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ) მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ თავმჯდომარე